PFM
POLSKIE FORUM MIGRACYJNE



Wsparcie finansowe dla rodzin – język gruziński

ფინანსური დახმარება ოჯახებისთვის

ოჯახის დახმარება [świadczenia rodzinne] წარმოადგენს სახელმწიფო მხარდაჭერის ფორმას ბავშვის დაბადებისა და გაზრდასთან დაკავშირებით. ასეთი დახმარება ეკუთვნის ყველა უცხოელს, რომელსაც აქვს პოლონეთში მუშაობის უფლება ან გათავისუფლებულია მუშაობის ნებართვის ქონის ვალდებულებისგან და ასევე რომელიც ცხოვრობს პოლონეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე იმ პერიოდში, რომელშიც აღნიშნული დახმარება მას ეკუთვნის და აკმაყოფილებებს დაწესებულ პირობებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უცხოელს უფლება აქვს:

1. მიიღოს დახმარება, რომელიც ექვემდებარება დებულებებს სოციალური უზრუნველყოფის სისტემების კოორდინაციის შესახებ და გამომდინარობს პოლონეთის მიერ დადებულ ორმხრივ საერთაშორისო შეთანხმებებიდან სოციალური უზრუნველყოფის შესახებ,
2. პოლონეთში მცხოვრებ პირს დროებითი ბინადრობის ნებართვის საფუძველზე,
3. პოლონეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ პირს მუდმივი ბინადრობის ნებართვის საფუძველზე, ევროკავშირში გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის საფუძველზე, მაღალკვალიფიკაციური პროფესიის მქონე პირის დასაქმების მიზნით გაცემული დროებითი ბინადრობის ნებართვის საფუძველზე, ან იმ შემთხვევაში თუ პოლონეთის ტერიტორიაზე ოჯახთან ერთად მცხოვრებ უცხოელს მიენიჭა ლტოლვილის სტატუსი ან დამატებითი დაცვის უფლება,

4. თუ ოჯახთან ერთად მცხოვრებ უცხოელის ბინადრობის მოწმობა გაცემულია ანოტაციით „დასაქმების უფლებით“, გარდა მესამე ქვეყნის მოქალაქეებისა, რომლებსაც მიღებული აქვთ სამუშაო ნებართვა არა უმეტეს 6 თვის ვადით, ან იმყოფებიან პოლონეთში სწავლის მიზნით, ან არიან მესამე ქვეყნის მოქალაქეები, რომლებსაც აქვთ მუშაობის უფლება ვიზის საფუძველზე.

აღნიშნული დახმარების მისაღებად განაცხადები წარედგინება მუნიციპალურ რაიონულ სამსახურში (სოციალურ საკითხთა და ჯანდაცვის განყოფილებაში) საცხოვრებელი ადგილის შესაბამისად.

ოჯახის დახმარების სახეობები:

საოჯახო შემწეობა [zasiłek rodzinny] ეძლევა მშობლებს, ერთ-ერთ მშობელს ან ბავშვის კანონიერ მეურვეს, თუ ოჯახის შემოსავალი ერთ წევრზე გადათვლით არ აღემატება თვეში 674 PLN-ს. საოჯახო შემწეობის შესახებ მეტი შეგიძლიათ წაიკითხოთ ვებგვერდზე gov.pl/web/rodzina/zasilek-rodzinny.

საოჯახო შემწეობის უფლების მქონე პირს შეუძლია მიმართოს ქვემოდ ჩამოთვლილ საფუძველზე:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის განათლება და რეაბილიტაცია,
- სასწავლო წლის დაწყება,
- შვილის გაჩენა,
- შვილის მოვლა დეკრეტულ შვებულებაში ყოფნისას,
- შვილი დადის სკოლაში, რომელიც სხვა დასახლებულ პუნქტში მდებარეობს,
- მარტოხელა მშობელი,
- მრავალშვილიანი ოჯახი.

ამის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე gov.pl/web/rodzina/dodatki-do-zasilku-rodzinnego.

ცალკე ჯგუფს წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მოვლის დახმარება, რომელიც განკუთვნილია სადღეღამისო მომვლელებისთვის ან თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

ამის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე gov.pl/web/rodzina/swiadczenia-opiekuncze

მშობლის დახმარება [świadczenie rodzicielskie] შეადგენს 1000 PLN თვეში და არ არის დამოკიდებული შემოსავალზე; ეს არის თანხა ნეტო და არ იბეგრება. აღნიშნული დახმარება ეკუთვნის ბავშვის დედას ან მამას, ბავშვის ფაქტობრივ მეურვეს, მიმღებ ან ამყვან ოჯახს, რომელმაც იშვილა ბავშვი 52 კვირით (ერთი შვილის შემთვევაში) ან 71 კვირით (ხუთი ან მეტი შვილის შემთხვევაში). განცხადება მშობლის დახმარებაზე უნდა წარედგინოს ბავშვის დაბადებიდან/აყვანიდან სამი თვის განმავლობაში.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე gov.pl/web/rodzina/wiadczenie-rodzicielskie.

მშობიარობის ერთჯერადი შემწეობა [zapomoga z tytułu urodzenia dziecka] 1000 PLN-ის ოდენობით გაიცემა, თუ დედა იმყოფებოდა სამედიცინო მეთვალყურეობის ქვეშ

არაუგვიანეს ორსულობის მე-10 კვირიდან მშობიარობის დღემდე. შემწეობის ერთჯერადი გადახდის უფლების დადგენის მიზნით განცხადებას უნდა დაერთოს ექიმის ან ბებიაქალის მიერ გაცემული ცნობა. გადახდა უნდა განხორციელდეს ბავშვის დაბადებიდან 12 თვის განმავლობაში. დამატებითი ინფორმაცია: gov.pl/web/rodzina/jednorazowa-zapomoga-z-tytulu-urodzenia-sie-dziecka.
ოჯახის დახმარების ფარგლებში შემწეობის შესახებ შეგიძლია წაიკითხოთ ვებგვერდზე gov.pl/web/rodzina/wiadczenia-rodzinne.

ბავშვის მოვლისათვის შემწეობა 500+ გათვალისწინებულია თითოეულ ბავშვზე 18 წლამდე და შეადგენს 500 PLN თვეში შემოსავლის მიუხედავად.

500+-ის მისაღებად განაცხადი უნდა წარადგინოთ ელექტრონულად სოციალური დაზღვევის უწყებაში ყველა ფორმის (SW-R, SW-O, SW-D) გაგზავნა შესაძლებელია სოციალური დაზღვევის სააგენტოს (ZUS) ელექტრონული სერვისების პლატფორმის (PUE) ZUS მეშვეობით. თუ თქვენ ხართ ბავშვის დედა ან მამა და გაქვთ პირადი ნომერი (PESEL), ასევე შეგიძლიათ SW-R განაცხადის გაგზავნა მისამართზე empatia.mpips.gov.pl ან თქვენი ბანკის ვებსაიტის მეშვეობით.
500 + შემწეობის საკითხთან დაკავშირებით დახმარების მიღება შესაძლოა:

- ცხელ ხაზზე 22 290 55 00 (ორშაბათიდან პარასკევამდე 8–15 სთ.),
- სოციალური დაზღვევის უწყების (ZUS) ქოლ ცენტრში ნომერზე 22 560 16 00 (ორშაბათიდან პარასკევამდე 7–18 სთ).

500+ პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე https://tinyurl.

დობრი სტარტ1 [Dobry Start] – წელიწადში ერთხელ შეგიძლიათ მიიღოთ 300 PLN სასკოლო ნივთების შესაძენად, თუ თქვენ ხართ მოსწავლის მშობელი ან მეურვე:

- 20 წლამდე ასაკის მოსწავლე,
- 24 წლამდე (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლის შემთხვევაში).

ოჯახის შემოსავლის მიუხედავად თანხას მიიღებთ განაცხადში მითითებულ საბანკო ანგარიშზე. ელექტრონული განაცხადი წარდგენილი უნდა იყოს
1 ივლისიდან 30 ნოემბრის ჩათვლით, ელექტრონული საბანკო სისტემის მეშვეობით, PUE ZUS-ში zus.pl ვებსაიტზე ან პორტალზე https://empatia.mpips.gov.pl/
ინფორმაცია ამ შემწეობის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე zus.pl/baza-wiedzy/program-dobry-start.

ოჯახის მზრუნველობის კაპიტალი (RKO) ეს შემწეობა განკუთვნილია შვილიანი ოჯახებისთვის; მისი მიზანია 12-დან 35 თვემდე მეორე და მომდევნო ბავშვების მოვლასთან დაკავშირებული ხარჯების ნაწილობრივ დაფარვა.
ოჯახის მზრუნველობის კაპიტალი (RKO) არ არის დამოკიდებული ოჯახის შემოსავალზე და შეადგენს 12000 PLN მეორე და ყოველი მომდევნო ბავშვისთვის. მშობელს შეუძლია გადაწყვიტოს, სურს თუ არა 500 PLN შემწეობის მიღება 24 თვის განმავლობაში ან 1000 PLN 12 თვის განმავლობაში.
ოჯახის მზრუნველობის კაპიტალის RKO განაცხადის და აუცილებელი დანართების წარდგენა

შესაძლებელია მხოლოდ ელექტრონული ფორმით, ელექტრონული ბანკის მეშვეობით, PUE ZUS-ზე zus.pl ვებსაიტზე ან პორტალზე https://empatia.mpips.gov.pl/
დამატებითი ინფორმაცია: zus.info.pl/rodzinny-kapital-opiekunczy-rko.

ბაგა-ბაღის თანადაფინანსება

შეგიძლიათ განაცხადოთ სოციალური დაზღვევის უწყებაში (ZUS) ბავშვის საბავშვო ბაღში, საბავშვო კლუბში ან დღის აღმზრდელთან ყოფნის საფასურის შემცირების შესახებ. დაფინანსების უფლება არ არის დამოკიდებული თქვენი ოჯახის შემოსავალზე. თქვენ ის გეკუთვნით, თუ:

- თქვენ ხართ ბავშვის მშობელი, კანონიერი მეურვე ან პირი, რომელსაც სასამართლომ დაავალა ბავშვის მეურვეობა, მაგალითად, მიმღები მშობელი,
- ბავშვი დადის საბავშვო ბაღში, საბავშვო კლუბში ან სარგებლობს დღის აღმზრდელის მომსახურეობით;
- თქვენ არ იღებთ დახმარებას ამ ბავშვისთვის ოჯახის ზრუნვის კაპიტალის სახით.

დაფინანსება შეადგენს მაქსიმუმ 400 PLN თვეში თითო ბავშვზე, მაგრამ არაუმეტეს იმ საფასურის ოდენობისა, რომელსაც იხდით თქვენი შვილის საბავშვო ბაღში, საბავშვო კლუბში ან დღის აღმზრდელთან ყოფნისთვის. მეტი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ https://www.zus.pl/-/dofinansowanie-pobytu-w-zlobku

დახმარებისა და სოციალური შემწეობის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ მისამართზე gov.pl/web/rodzina/pomoc-spoleczna-dla-cudzoziemcow-na-jakie-wsparcie-w-polsce-moga-liczyc.

2023 წლის 24 აგვისტომდე უკრაინის მოქალაქეებს შეუძლიათ ისარგებლონ სოციალური დახმარებით, ბავშვის მოვლის შემწეობით, საოჯახო შემწეობით, ასევე კარგი სტარტით, ოჯახის მზრუნველობის კაპიტალით RKO-ით, ან მშობლის საფასურის შემცირებაზე ბავშვის საბავშვო ბაღში, საბავშვო კლუბში ან ბავშვის საბავშვო ბაღში, საბავშვო კლუბში ან დღის აღმზრდელთან ყოფნის თანადაფინანსებით.

UNIA EUROPEJSKA
FUNDUSZ AZYLU, MIGRACJI I INTEGRACJI

POLSKIE FORUM MIGRACYJNE

უსაფრთხო სადგური
პროექტი თანადაფინანსებულია
თავშესაფრის, მიგრაციისა და
ინტეგრაციის ფონდის ეროვნული
პროგრამის ფარგლებში

Fundacja Polskie Forum Migracyjne
ul. Szpitalna 5/14, Warszawa
+48 692 913 993
info@forummigracyjne.org
www.forummigracyjne.org

წარდგენილ ინფორმაციაზე პასუხისმგებელია მხოლოდ ავტორი. ევროკომისია და შინაგან საქმეთა და ადმინისტრაციის სამინისტრო არ აგებენ პასუხს მოწოდებული ინფორმაციის გამოყენებაზე.